საინფორმაციო ბიულეტენი | მაისი

გენდერული თანასწორობის საბჭომ ბლოგერების კონკურსი გამოაცხადა

მიმდინარე წლის 2 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოაცხადა ბლოგერების კონკურსი ბაკალავრიატის II-IV კურსების და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.
გამარჯვებულ ორ სტუდენტს, რომლებიც გენდერული თანასწორობის ელექტრონული ბიბლიოთეკისთვის 3 თვის განმავლობაში დაწერენ ბლოგებს, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაენიშნება ერთჯერადი სტიპენდია;
კონკურსი გენდერული თანასწორობის საკითხებში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფასა და ამ თემაზე მათი ხედვის გაზიარებას, ამასთან სტუდენტთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობასა და მოტივაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.
კონკურსის თემატიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა;
- ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი;
- სტიგმები და სტერეოტიპები გენდერული თანასწორობის ირგვლივ;
- ორმაგად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები.

ნაშრომები განთავსდება საბჭოს ელექტრონული ბიბლიოთეკის გვერდზე: http://genderequality.ge/

ქალაქ კასპის ტექნოპარკში გოგოების ტექნოლოგიებში ჩართვის მნიშვნელობაზე შეხვედრა გაიმართა

მიმდინარე წლის 11 მაისს ქალაქ კასპის ტექნოპარკში გოგოების ტექნოლოგიებში ჩართვის მნიშვნელობაზე შეხვედრა გაიმართა. ვიზიტის ფარგლებში საბჭოს წევრი მარიამ ლაშხი ტრენერთან ერთად იმ ქალებსა და გოგოებს შეხვდა, რომლებიც ჩართული არიან ან აქვთ სურვილი ჩაერთონ ტექნოლოგიების სფეროში.
შეხვედრისას იმსჯელეს საბჭოს გენდერულ პოლიტიკაზე, ხაზი გაუსვეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში აღებულ საქართველოს ვალდებულებებს და აღნიშნული საკითხის პრიორიტეტულობას.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საბჭოს წევრი მიხეილ სარჯველაძე დემოკრატიული და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტს, ლივინგსტონ სევანიანას შეხვდნენ

3 მაისს საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანი და საბჭოს წევრი მიხეილ სარჯველაძე დემოკრატიული და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის ხელშეწყობის საკითხებში გაეროს დამოუკიდებელ ექსპერტს, ლივინგსტონ სევანიანას შეხვდნენ.
შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობა გვქონდა მიგვეწოდებინა ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მოქცეულა სხვადასხვა დროს და საქართველოზე შთაბეჭდილების შექმნის შესაძლებლობას ქმნის.

საბჭომ სამინისტროების იურიდიული დეპარტამენტებისა და პარლამენტის კომიტეტების აპარატების წარმომადგენლების მონაწილეობით, გენდერული გავლენის ანალიზის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა

5 მაისს საბჭომ სამინისტროების იურიდიული დეპარტამენტებისა და პარლამენტის კომიტეტების აპარატების წარმომადგენლების მონაწილეობით, გენდერული გავლენის ანალიზის საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა.
საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, კანონპროექტების განმარტებითი ბარათის ის პუნქტი, სადაც აღწერილი უნდა იყოს თუ რა გავლენას ახდენს კონკრეტული ინიციატივა ქალებსა და კაცებზე, მწირად არის შევსებული და საჭიროა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა უფრო დაიხვეწოს.
ნინო წილოსანმა დამსწრეებს კარგი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით რეკომენდაციები წარუდგინა.

Gender@parliament.ge

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
https://www.facebook.com/GenderEqualityCouncil

საინფორმაციო ბიულეტენი | მაისი

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე საჩხერის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა

მიმდინარე წლის 1 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე საჩხერის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდა. გარდა გენდერული თანასწორობის შესახებ პოლიტიკაზე საუბრისა და საბჭოს საქმიანობის შესახებ დისკუსიისა, ტრენერთან ერთად იმსჯელეს გოგოების ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ჩართულობაზეც.
ნინო წილოსანმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები, როგორც გოგოები, ისე - ბიჭები ძალიან აქტიურები და წარმატებულები აღმოჩნდნენ. მათ გაგვაცნეს სამომავლო გეგმები და იდეები, ასევე, წარმოგვიდგინეს სხვადასხვა აპლიკაციები და ტექნოლოგიური ინოვაციები.

ქალებისა და გოგოებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ საბჭოს თემატური მოკვლევის ანგარიშის პრეზენტაცია ჩატარდა

საბჭოს წევრმა, თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარმა მომხსენებელმა, ანა ნაცვლიშვილმა ექსპერტთან ერთად მოკვლევის შედეგები და ძირითადი მიგნებები წარადგინა. მან ხაზი გაუსვა მოკვლევაზე მუშაობის მულტისექტორულ ფორმატს და აღნიშნა, რომ ქალთა გაძლიერებას სჭირდება სისტემური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, ასევე - ერთიანი მკაფიო ხედვა და პოლიტიკა.
თემატური მოკვლევა განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერის პროექტის (AA Facility), ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის და დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით.

საბჭომ თბილისის 169-ე, 133-ე, დუშეთის N1 და N2 და ქსნის სკოლების მოსწავლეებსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ფორუმის წარმომადგენლებს უმასპინძლა

მიმდინარე წლის მაისის თვეში, საბჭომ 5 შეხვედრა გამართა, სადაც თბილისის 169-ე, 133-ე, დუშეთის N1 და N2 სკოლების მოსწავლეებსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ფორუმის წარმომადგენლებს უმასპინძლა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საინტერესო დისკუსია გამართა. საბჭოს თავმჯდომარე ნინო წილოსანმა და საბჭოს წევრმა ბაია კვიციანმა ვიზიტორებს გააცნეს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ვითარება. თითოეული შეხვედრის დასასრულს, ინტერაქციული აქტივობების გამარჯვებული 3-3 მოსწავლე დააჯილდოვდა და სიმბოლური პრიზები გადაეცა.

10 მაისს გენდერული საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

10 მაისს გენდერული საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც სამი ძირითადი თემა იქნა განხილული.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა დამსწრეებს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები წარუდგინა. გათვალისწინებული ცვლილებები მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თემატური მოკვლევებისა და გენდერული ანალიზის ჩატარებას; უფლებადამცველ ქალებთან თანამშრომლობას და მათ გაძლიერებას; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარებას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას მარტოხელა მშობლისა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მუნიციპალური სერვისების შესახებ და სხვა.
მეორე საკითხი შეეხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაციას.
სხდომის დასკვნით ნაწილში საბჭომ მოისმინა ანგარიში „ოჯახში დასაქმებულთა/არაფორმალური ეკონომიკის აქტორთა დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვის ანალიზი არაფორმალური ეკონომიკის ფორმალიზების მიზნით“.

Gender@parliament.ge

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
https://www.facebook.com/GenderEqualityCouncil

საინფორმაციო ბიულეტენი | მაისი

მაისის თვეში საბჭომ გაავრცელა ოთხი განცხადება:

- 8 მაისის განცხადებაში საბჭომ შეშფოთება გამოხატა ვანში სკოლის მიკროავტობუსის მძღოლის მხრიდან მოსწავლის მიმართ შესაძლო გარყვნილი ქმედების საქმესთან დაკავშირებით. ამასთან მოუწოდა სამართალდამცავ სტრუქტურებს, დამნაშავე დაისაჯოს არა მხოლოდ საზოგადებისთვის ცნობილი, არამედ ყველა შესაძლო დამალული ფაქტის გამო.

- 17 მაისის განცხადებით საბჭო გამოეხმაურა ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასა და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს. მრავალფეროვნება და თანასწორობა საფუძველია ერთმანეთისგან განსხვავებული პირების უფლებების აღიარებისა, რისი შედეგიცაა საზოგადოების ფართო თანამონაწილეობა ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი კი დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის განუყოფელი ნაწილია.

- 19 მაისის განცხადებით საბჭო გამოეხმაურა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც დამნაშავედ სცნო ფეხბურთის მწვრთნელი 12 წლის მოსწავლის მიმართ ჩადენილ გარყვნილი ქმედების ოთხივე ეპიზოდში და 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

- 19 მაისის განცხადებით საბჭომ ღრმა მწუხარება გამოხატა საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველი ვიცე-სპიკერი ქალის, რუსუდან ბერიძის გარდაცვალების გამო. მიუსამძიმრა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს და უსურვა გამძლეობა.

საბჭომ სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა ვიდეო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დანერგილი გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის სისტემის შესახებ

მიმდინარე წლის 15 მაისს საბჭოს სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა ვიდეო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დანერგილი გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის სისტემის შესახებ.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია მუნიციპალური სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით განხორციელებული ინოვაციური პროექტებისა და პროგრამების დანერგვის კუთხით, რომელიც წლებია ბატონი გოგი რევიას ჩართულობითა და აქტიური მხარდაჭერით ხორციელდება.

საბჭომ სტუდენტებისთვის ქალ პარლამენტარებთან შეხვედრა დააანონსა

2 მაისს საბჭომ დააანონსა ქალ პარლამენტარებთან შეხვედრა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობის საკითხზე სამსჯელოდ. საჯარო შეხვედრაზე, ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებაზე და მათ წინაშე არსებულ ბარიერებზე და გამოწვევებზე. ნინო წილოსანი, მარიამ ლაშხი და ბაია კვიციანი გასცემენ ყველა კითხვას გულახდილ პასუხებს.
ღონისძიებაზე დასწრება შეუძლია ყველას წინასწარ შევსებული ბმულის საშუალებით https://forms.gle/reaJ5NTs7xQXP4gB7

საბჭოს თავმჯდომარე ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა

29 მაისს საბჭოს თავმჯდომარე ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე იოსებ ქარუმაშვილსა და საბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა, ახმეტის წარმომადგენლებმა გააცნეს განხორციელებული აქტივობებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.
შეხვედრის ფარგლებში ისაუბრეს მსხვერპლის სტატუსის გაუქმების საკანონმდებლო ცვლილებასა და ,,ქალთა ოთახების" მუნიციპალური სერვისის გაძლიერებაზე.
შეხვედრის ბოლოს შეთანხმდნენ ახმეტის მუნიციპალიტეტში გენდერულად სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების დანერგვასა და ამ მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე.

Gender@parliament.ge

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო
https://www.facebook.com/GenderEqualityCouncil